

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: მარიამ გოგეშვილი

სამაგისტრო ნაშრომი:

მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სერგო ჭელიძე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შეეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

წარმოდგენილ თემაში ვისაუბრებ ზოგადად მტკიცებულებებზე და მათ როლზე სისხლის სამართლის პროცესში. თავდაპირველად ვეხები მტკიცებულების ეტაპებს, სადაც განვიხილავ თუ როგორაა მოწესრიგებული მტკიცების ეტაპები ახალი სისხლის სართლის კოდექსში ძველი სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით.

განვიხილავ მტკიცების პროცესს, რაც გულსხმობს თავისთავად დარწმუნებას იმ საშუალებით, რასაც მტკიცებულ

ება ჰქვია. რაც შეეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას იგი სამართალწარმოებაში გახლავთ მთავარი ღერძი და სწორედ მტკიცებულებები თამაშობენ გადამწყვეტ როლს ბრალდებული ბედის გადაწყვეტაში.

ნაშრომში ასევე საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა მტკიცებულების მოპოვებაზე უფლებამოსილ სუბიექტს, რადგან თუ მტკიცებულება მოპოვებული იქნება არაუფლებამოსილი პირის მიერ მტკიცებულება აუცილებლად დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი სასამართლოს მიერ.

მომდევნო თავებში გამახვილებულია ყურადღება ისეთ საკითხებზე როგორცაა: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 112-ე მუხლით ჩატარებული მოქმედებები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებათა დასაშვებობა, ბრალდებულის მონაწილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები. თითოეულ შემთხვევაში დეტალურადაა აღწერილი ის გარემოებები და მოსალოდნელი შედეგები რაც შეიძლება მოყვეს აღნიშნულ მოქმედებათა განხორციელებას.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე განხილული მაქვს ერთ-ერთი სამართლებრივი თეორია როგორცაა „ მოწამლული ხის ნაყოფი“. „მოწამლული ხის ნაყოფი“ ნიშნავს ისეთ მტკიცებულებათა კატეგორიას, რომელიც მოპოვებულია უკანონო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას. მოყვანილი მაქვს ასევე ორი ქვეყნის მაგალითი აშშსა და დიდი ბრიტანეთში არსებულ მაგალითზე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომის ბოლოს ასევე წარმოდგენილია დასკვნა დაა გამოყენებული ლიტერატურა.

Annotation

Firstly, I want to mention that, The master's thesis presented by me is related to the admissibility of evidence in criminal law.

I will talk about the evidence in general and their role in the criminal proceedings. At first initially, I will look at the stages of evidence, where I look at the stages of the prosecution in the new legislation, compared to the old legislation.

I consider the process of evidences, which means to convince itself of the evidence that is called evidence. As for the admissibility of the evidence, it is the main axis in the proceedings and the evidence plays a decisive role in solving the fate of the accused.

The paper also gives considerable attention to the entitled authority to obtain evidence because if evidence is obtained by an unauthorized person, the evidence must be inadmissible by the Court.

The subsequent chapters are focused on issues such as the acts under Article 112 of the Criminal legislation procedure, the admissibility of evidence obtained by the hidden investigative actions, investigative actions conducted without the participation of the accused. In each case the details of the circumstances and the expectation are detailed the results can be followed by the implementation of these actions.

My Master's Theory is also one of the legal theories, such as the "poisonous tree fruit", which means the category of evidence that has been obtained for illegal investigative actions. I have the example of two countries, examples of American states and UK , The question of admissibility of evidence relatively.

At the end of the work there is also the conclusion and the literature used.

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1	
მტკიცებულების ცნება	7
თავი 2	
მტკიცების ეტაპები	10
მტკიცების პროცესი	14
თავი 3	
მტკიცებულებათა სტანდარტები	16
მტკიცებულებათა დაუშვებლობა გაცვლის წესების დარღვევით.....	19
თავი 4	
მტკიცებულებათა დასაშვებობა.....	27
4.1 მტკიცებულების მოპოვებაზე უფლებამოსილი სუბიექტი	30
4.2 დასაშვებობის განხილვა საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში	32
4.3 მტკიცებულებათა დასაშვებობა სხვადასხვა საშუალებებით	33
4.4 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 112-ე მუხლით ჩატარებული მოქმედებები.....	35
4.5 ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა	37
4.6 მტკიცებულებათა დასაშვებობა სსსკ-ს 72 მუხლით დადგენილი წესით	39
4.7 ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებანი	40
4.8 გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები დათვალიერება, ჩხრება/ამოღება.....	41
თავი 5	
„მოწამლული ხის ნაყოფი“	45
თავი 6	
შედარება საერთო სამართლის ქვეყანებთან მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით	49
მერიკის შეერთებული შტატები/ დიდი ბრიტანეთი.....	53
ამერიკის შეერთებული შტატებო.....	54
დიდი ბრიტანეთი	55
დასკვნა.....	57

შესავალი

ჩემი სამაგისტრო თემა შეეხება იმ უმთავრეს საკითხს, როგორც არის მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მოგეხსენებათ რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა განიცადა ცვლილება 2010 წელს და კანონმდებელმა შემოგვთავაზა მტკიცებულებათა დასაშვებობის წესები, რომელზედაც ვისაუბრებ ქვევით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მთავარ როლს ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ასრულებს. „მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება”.¹ როგორც მოგეხსენებათ მართლმსაჯულების განხორციელების ორგანო გახლავთ სასამართლო. სწორედ მართლმსაჯულების განხორციელებას აქვს სამართალში გადამწყვეტი მნიშვნელობა. “სამართლიანი სასამართლის განხორციელებისათვის მთავარ როლს სწორედ პროცესის მონაწილეები ასრულებენ. პროცესის მონაწილეების ვალდებულებაა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური მოქმედებების განხორციელება მოხდეს კანონიერების ფარგლებში. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებათა დასაშვებობას”.

ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით სასამართლო ხელისუფლება მთლიანად ჩართული იყო მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში. სწორედ მოსამართლე მოიპოვებდა მხარეებისგან დამოუკიდებლად ყველა იმ პროცესუალურ გარემოებებს, რომლის უფლებამოსილება და

¹ სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი. 1998., გვ 35

² ხარაზიშვილი, ბ. მტკიცებითი სამართალი. 1982, გვ 225

ვალდებულება ახალი 2010 წლის 24 სექტემბერი მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მხოლოდ მხარეებს აკისრით.

მე ვფიქრობ , ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ აკმაყოფილებდა სანდოობისა და კანონიერების სტანდარტს, რადგანაც ჩემი აზრით უმნიშვნელოვანესია სამართალწარმოების პროცესუალური ღნისძიებები განხორციელებულ იქნეს ბრალდებისა და დადგვის მხარის მიერ. სწორედ ამიტომაც მივესალმები არა ინკვიზიციურობის არამედ შეეჯიბრებითობის პრინციპს.

ნაშრომის მიზანი - ჩემი მიზანი გახლავთ წინ წამოვწიო სისხლის სამართლის პროცესით, კერძოდ შეეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით იმ საკითხების გაშლა და წარმოჩენა, რომელიც ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ შემოგვთავაზა. ასევე გავიგოთ პროცესის თითოეული მონაწილის როლის შესახებ რაც კანონმდებელმა მიანიჭა ახალი 2010 წლის 24 სექტემბრის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაშრომის აქტუალურობას -წარმოადგენს ვფიქრობ ის რომ ახალმა სისხლის სამართლის პროცესმა უკეთ დაგვანახოს და უკეთ აღმოვფხვრათ პროცესუალური ხარვეზები რაც ახლდა ინკვიზიციურობის პრინციპს და რასაც აღმოვფხვრის შეეჯიბრებითობის პრინციპი.

ნაშრომის ხარვეზი- პირველ რიგში ჩემი მიზანი გახლავთ სწორად გადმოვცე, დაგანახოთ თუ როგორ არის ეროვნულ კანონმდებლობაში მოწესრიგებული მტკიცებულებათა დასაშვებობა. უმთვარესია სწორედ შეეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც მთავარი ხერხემალია ჩვენი პროცესისა.

მოგახსენებთ ჩემს ნაშრომში ზოგადად ჩამოყალიბებულ საკითხებს: ვისაუბრებ მტკიცების ეტაპებზე, მტკიცების პროცესზე, ჩამოვყალიბებ მტკიცებულებების ცნებას, მტკიცებულებათა სტანდარტებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; შემდეგ მესამე თავში ვისაუბრებ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე სისხლის სამართლის პროცესში; გამოვყოფ საკითხებს თუ როდის არის მტკიცებულება

დადაშვები და ეროვნული კანონმდებლობის ფონზე პარალელს გავავლებ საერთაშორისო კანონმდებლობაზე. აქვე, მიმოვიხილავ „ მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინას“.

თავი 1

მტკიცებულების ცნება

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23- ე ნაწილის მიხედვით „მტკიცებულება არიკანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას“³.

ამ მუხლის მიხედვით ვიგებთ რომ თავდაპირველად ინფორმაცია ვერ შეფასდება მტკიცებულებად და რომ ის მტკიცებულების ძალას იძენს მხოლოდ გამოკვლევის შედეგად და ზოგად გარემოებები დგინდება მტკიცებულებათა ერთობლიობით.

„სასამართლოში მტკიცებულებებს წარადგენენ მხარეები. სწორედ სასამართლოში ხდება იმის გარკვევა იქნება თუ არა ის დასაშვები და მოახდენს

³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მე-3 მუხლი, 23 ნაწილი.2018. გვ.70

თუ არა გავლენას საქმეზე. მტკიცებულებას წარადგენს დაცვისა და ბრალდების მახრეები, თუმცა საბოლოოდ მათ აფასებს სასამართლო“⁴.

„მტკიცებულებად მიიჩნევა ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება თუმცა, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისად არ იქნება მიჩნეული მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად“⁵.

სსსკ-ის მე-13 მუხლის მიხედვით „მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით, საკმარისის არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად“⁶.

„მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და იგი განისაზღვრება საქმეში მტკიცებულებათა ერთობლიობით. თითოეული მტკიცებულება უნდა ადგენდეს დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ბრალდების ბრალეულობას და ასევე უნდა ადასტურებდეს ერთსა და იმავე ფაქტებს, ხოლო რაც შეეხება ბრალდებულის აღიარებას იგი არაფრის მომცემი არაა თუ არ დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი აუცილებლად უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებათა სათითაოდ გამოკვლევას და მათ შეფასებას“⁷.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მიხედვით „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“⁸. მხარე, რომელიც მოიპოვებს მტკიცებულებას დარწმუნებული უნდა იყოს მის კანონიერებაში, სხვა შემთხვევაში ის აუცილებლად დაუშვებელი მტკიცებულებაა.

მტკიცებულებათა შეფასება ხდება სამი კრიტერიუმის მიხედვით: რელევანტურობა, უტყუარობა და დასაშვებობა. რელევანტურობა

⁴ ხარაზიშვილი, ბ. მტკიცებითი სამართალი. 1982, გვ 250

⁵ გოგშელიძე, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. 2008. გვ.365

⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-13 მუხლი.2018.გვ.150

⁷ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.

იურისტების სამყარო, 2014,გვ 125

⁸ სსსკ-ის 82-ე მუხლი.2015.გვ.80

დაკავშირებულია მტკიცებულებათა შინაარსთან და გულისხმობს მის კავშირს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებთან. რელევანტურობის დროს ფასდება არამხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც ეხება მტკიცების საგანში არსებულ გარემოებებს, არამედ ის მტკიცებულებაც, რომელთა მეშვეობითაც ხდება რაიმე გარემოების დადასტურება ან უარყოფა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: „ 1) ინფორმაციის წყაროს სანდოობას მაგალითად აღიქვამს თუ არა მოწმე ფაქტებს სწორად თავისი ფიზიკური ნაკლიდან გამომდინარე 2) გარემოებები, რომლებშიც ხორციელდება მტკიცებულებების ფორმირება ანუ ვითარება იყო შემთხვევის ადგილზე შეეძლო თუ არა ხელი შეეშალა გარემო-პირობებს მაგალითად ღამეს ცალკეული ფაქტების აღქმაზე. 3) ინფორმაციის მიღების ხერხები და საშუალებები. 4) შესაფასებელ მტკიცებულებაში მოყვანილი ინფორმაციის დადასტურება სხვა მტკიცებულებით. და რაც შეეხება დასაშვებობას გულისხმობს მტკიცებულებათა მოპოვების დროს საპროცესო ფორმის დაცვას. მტკიცებულებათა დამაგრებას კანონმდებლობით. რაზეც დეტალურად ქვევით ვისაუბრებ. მტკიცებულების შეკრებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გამოძიების ეტაპი, რადგან იგი მიმართულია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევასთან და შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოძიებასთან, იქნება მოწმეების დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებები. „მტკიცებულებები აუცილებლად უნდა წარედგინოს სასამართლოს იმისათვის, რომ პროცესულურად იქნას დამაგრებული. მტკიცებულება კი, მხოლოდ მას მერე გახდება დასაშვები, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ ის აკმაყოფილებს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და რომ არ არსებობს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი“⁹. მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, თუმცა მტკიცებულებებს აფასებს მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლე“¹⁰.

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2018. გვ.289

¹⁰ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014, გვ 224

თავი 2

მტკიცების ეტაპები

მტკიცების ეტაპები განსხვავებულადაა მოწესრიგებული ახალი სისხლის სამართლის კოდექსში ძველი სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით. მტკიცების ეტაპები ძველი სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგნაირად იყო გაწერილი: მტკიცებულების შეკრება, დამაგრება, შემოწმება, შეფასება, ხოლო რაც შეეხება ახალ კანონმდებლობას იგი მოიცავს მტკიცების პროცესის სხვადასხვა ეტაპებს: ესენი გახლავთ: მტკიცებულებათა მოპოვება, მათი საპროცესო დამაგრება, გამოკვლევა და შეფასება¹¹. პირველ რიგში, მტკიცებულებათა შეკრება ხდება გამოძიების ეტაპზე, ამ შემთხვევაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე. აგრეთვე მტკიცებულებათა შეკრება-მოპოვება ხორციელდება დაცვისა და ბრალდების მხარეების მიერ, რომელთაც არ აქვთ წინასწარ გასაზღვრული ძალა.

ძველი სისხლის სამართლის კოდექსით მტკიცებულებათა შეკრება და დამაგრება შესაძლებელი იყო თითქმის ყველა ეტაპზე, ხოლო ამჯერად კი ცალ-ცალკე ეტაპებს მოიცავს. მტკიცებულებათა შეკრება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ხდება გამოძიების ეტაპზე, აგრეთვე, არსებით განხილვაზე ხდება მტკიცებულების შეკრება და წარდგენა. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა დამაგრება ცალკე ეტაპი გახლდათ. უფრო ზუსტად რომ ჩამოვაყალიბო და განვმარტო: მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება-რაც გულისხმობს კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ოქმში ასახვას უფლებამოსილი პირის მიერ, რათა მას მიეცეს იურიდიული მნიშვნელობის ძალა. თავდაპირველად, ოქმში დაწვრილებით და დეტალურად უნდა აღიწეროს თუ რა პროცედურებით მოხდა მტკიცებულებების მოპოვება. მხარეები იცავენ თავიანთ პოზიციას, ხოლო რაც შეეხება დასაბუთებას მხარეების მიერ, ეს მხოლოდ საპროცესო ფორმის დაცვის დროსაა შესაძლებელი. მტკიცებულება ეს გახლავთ

¹¹ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014, გვ 100

სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ ინფორმაცია და არა რაიმე ფაქტი ან მოვლენა, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტს ან რაიმე სხვა გარემოებას.

მტკიცებულებათა შეფასება სსსკ-ის 82 მუხლის მიხედვით: მტკიცებულება უნდა შეფასდეს მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით ¹². „მტკიცებულებათა შეფასება ხდება მოსამართლის/ნაფიცმსაჯულთა მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, ყოველივე ამას მოგვიანებით კიდევ უფრო განვავრცობ. რაც შეეხება შეფასების ფუნქციას იგი მხოლოდ არსებით განხილვაზე არ ხდება, ამის შესაძლებლობა წინასასამართლო სხდომის მოსამართლესაც გააჩნია. სწორედ ამ დროს ხდება ფაქტობრივი გარემოებების შეფასება. კერძოდ: დანაშაულის ფაქტის დადგენა, ბრალდებულის მონაწილეობის დადგენა კონკრეტულ ქმედებაში, ქმედების შემადგენლობათა დადგენა, ბრალის დადგენა და ა.შ, რაც შეეხება ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობას გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მტკიცებულებას აფასებდნენ თავისუფლად, შინაგანი რწმენით“¹³.

„მხარის მიერ შეკებილი და წარდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შემოწმდეს, რაც ითვალისწინებს მიღებულ მტკიცებულებათ ანალიზს, მათ შეჯერებას სხვა მტკიცებულებებთან, ახალ მტკიცებულებათა შეკრებას, იმის გამორკვევას დაცულ იყო თუ არა სათანადო პროცედურა მტკიცებულებათა გამოვლენისა და საპროცესო დამაგრების დროს“. რაც შეეხება მტკიცებულებათა გამოკვლევას ხდება როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში საქმის არსებითი გახილვის დროს. მტკიცებულებაა ეს არის სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, აფასებენ სამართლებრივად მათ და ოცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ყველაზე მნიშვნელოვანია

¹² სსსკ-ის 82-ე მუხლი.2018.გვ.80

¹³ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014,გვ 75

არსებითი განხილვის დროს მტკიცებულებათა გამოკვლევა. სწორედ ამ დროს ხდება შეჯერება თუ რამდენად რელევანტური, დასაშვები და უტყუარია მტკიცებულებათა ერთობლიობა და სწორედ ამაზეა დამოკიდებული დადგება გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი განაჩენი.

რაც შეეხება, მტკიცებულებათა შეკრება-მოპოვებას ხორციელდება მხარეთა მიერ, რომელთაც არ აქვთ წინაწარ განსაზღვრული ძალა. პირველ რიგში, მტკიცებულებათა მოპოვება ხდება გამოადიების ეტაპზე, როცა ხდება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის საფუძვლის დადგენა. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე. რაც შეეხება მტკიცების სუბიექტებს ესენი არიან ბრალდებისა და დაცვის მხარეები. მათ უფლებამოსილებას წარმოადგენს მტკიცებულებათა მოპოვება და სწორედ მათი გადასაწყვეტია თუ რა ინფორმაცია გამოიყენონ პროცესში და რა არა. არავის აქვს უფლება დაავალდებულოს მხარე მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, ასევე არავის აქვს უფლება აუკრძალოს მხარეს ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვება. მხარეების უფლებები მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

„ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, სწორედ ის გახლავთ სახელმწიფო ბრალმდებელი და გამოძიების ეტაპიდანვე ხდება პროკურორისა და გამომძიებლის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება. მათ უფლება აქვთ ჩაატარონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება და ასევე მოიპოვონ ყველა მტკიცებულება. ბრალდების მხარე მოიპოვებს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს“¹⁴.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33 მუხლის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით პროკურორს უფლება აქვს სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის

¹⁴ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014, გვ 155

განხილვისას; სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით.¹⁵ ასევე, გამომძიებელი ვალდებულია ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით გაწერილია ბრალდებულის უფლებები: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვის და წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად, მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, მოითხოვის ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.¹⁶

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით ბრალდებულს ასევე უფლება აქვს, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით, მოიპოვოს მტკიცებულებები. ასევე ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვება.¹⁷

¹⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 33-ე მუხლი. 2018. გვ 39.

¹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 2018. გვ 44.

¹⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. 2018 გვ 47

მტკიცების პროცესი

რაც შეეხება „მტკიცების“ ინსტიტუტის ცნებაში კი მოიაზრება ის ფაქტი რომ სამართალური თეორიის მხარეებმა უნდა შეძლონ დაიცვან თავიანთი პოზიცია ჯეროვნად და უნდა დაარწმუნონ მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოსასამართლო საკუთარ სიმართლეში.

„მტკიცების პროცესი თავისთავად მოიცავს დარწმუნებას იმ საშუალებით, რასაც მტკიცებულება ჰქვია. სწორედ მტკიცებულების საშუალებითაა შესაძლებელი სისხლის სამართლის საქმისათვის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დადგენა. საქმის წარმატებით დამთავრების შანსი მხოლოდ იმ მხარეს აქვს, რომელსაც აქვს მყარი არგუმენტები და პოზიციები, რომელსაც დაადასტურებს თავისი მტკიცებულებებით“¹⁸.

როგორც მოგეხსენებათ სისხლის სამართლის 2010 წლის კოდექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხარეთა შეჯიბრობითობასა და თანასწორობას, რაც შეეხება სასამართლოს როლს გახლავთ ნეიტრალური ადრე არსებული სისხლის სამართლის პროცესისაგან. „სასამართლოს როლი უნდა იყოს ნეიტრალური. მას ევალება მოისმინოს, გამოიკვილოს წარდგენილი მტკიცებულებანი სრულად და ობიექტურად. წარმოდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულებანი, რომლებიც იქნება დადასტურებული ან უარყოფილი. საერთო ჯამში მტკიცებულებათა მოპოვების დროს სისხლის სამართლის პროცესი არ ზღუდავს მცხარეებს მათ მოპოვებაში“¹⁹. ამასთან, ასევე არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როგორცაა მაგალითად ფარული საგამომიებო მოქმედებანი, მართალია ბრალდების მხარე უპირატეს მდგომარეობაშია, მაგრამ კანონმდებელი ცდილობს გაათანაბროს ეს უპირატესობა რაც დაშვებულია პროცესში, მაგალითად ის რომ ყველა ეჭვი უნდა გადაწყვეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

¹⁸ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014, გვ 278

¹⁹ გოგშელიძე, რ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. 2008.

მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან მთელი პროცესი აგებულია მტკიცებულებებზე. სისხლის სამართლის პროცესში ბრლდების მხარე ვალდებულია გამოძიება წარმართოს ობიექტურად, რადგან მტკიცებულება, რომელიც აუმჯობესებს ბრალდებულის მდგომარეობას გამოკვლეული იქნეს სრულად და ობიექტურად. მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, მისი ბედი მთლიანად წიასასამართლო სხდომის მოსამართლეზეა დამოკიდებული²⁰ სსსკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

„მოსამართლის შინაგანი რწმენა უნდა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ბრალდებულის დამნაშავეობას ან უდანაშაულობას. მტკიცების პროცესი ეს გახლავთ სწორედ წარსულში მომხდარი ფაქტების მტკიცება. მას შემდეგ რაც დანაშაული მოხდება ის უკვე არსებობს, ხოლო რაც შეეხება ფაქტების აღდგენას იგი იწყება ინფორმაციის მიხედვით, რომლებსაც გვაძლევს ბრალდებულის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულება და ა.შ. სწორედ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება მტკიცება, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და რომელზეც დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის საპროცესო შედეგი“²¹.

²⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილი, 2015. გვ 29.

²¹ თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014, გვ 300

თავი 3

მტკიცებულებათა სტანდარტები

„მტკიცების პროცესში საკამოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების სატანდარტების განსაზღვრას. სისხლის სამართლის პროცესში გავქვს მტკიცების სამი სტანდარტი:

1. დასაბუთებული ვარაუდი
2. ალბათობის მაღალი ხარისხი
3. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი“²²

თითოეული მათგანს ვიყენებთ სხვადასხვა ეტაპზე. დასაბუთებული ვარაუდის დროს აუცილებელია რომ არსებობდეს ინფორმაციისა და ფაქტების ერთობლიობა, რომელიც არა მიკერძოებულ, არამედ ობიექტურ პირს მისცემდა შესაძლებლობას, რომ დასკვნა გამოეტანა დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. ბრალდებისათვის აუცილებელია რომ გვქონდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული. სწორედ ეს გახლავთ მტკიცების სტანდარტი, რომელიც არის ყველაზე დაბალი რანგის მქონე.

დასაბუთებული ვარაუდი ეს გახლავთ „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“²³

„ალბათობის მაღალი ხარისხი ეს გახლავთ - „წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც საკმარისია

²² თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014

²³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. 2013.

ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი²⁴. „ეს სტანდარტი არის წინასასამართლო სხდომის მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი. მოსამართლე ამ შემთხვევაში აფასებს მოცემულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. წინასასამართლო სხდომაზე ხდება დასაშვებობის საკითხის განხილვა. ასევე წინასასამართლო სხდომაზე ხდება საქმის მომზადება არსებითი განხილვისთვის გადასაცემად“²⁵.

როგორც გამოძიების ასევე სასამართლო განხილვის დროს ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა და განხილვა.

წინასასამართლო სხდომაზე დგინდება მტკიცებულებათა შინაარსობრივი მხარე და სწორედ ამის შემდგომ ხდება მათი შეფასება. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა სწორედ წინასასამართლო სხდომაზე ხდება, სწორედ ამიტომაც იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

„მტკიცებულების გამოკვლევის საკითხს წყვეტს სასამართლო. გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლემ სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულება. მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც მისი მოპოვების ხერხი, ისე მისი ავთენტურობა. თავდაპირველად უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას კანონი და პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ან კონსტიტუციით გარანტირებული რომელიმე უფლება“²⁶.

ამ შემთხვევაში მხარეები არ არიან შეზღუდულნი დააყენონ შუამდგომლობები მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. სწორედ ამ დროს ვლინდება მხარეთა შეჯიბრობითობა და თანასწორობა სისხლის სამართლის პროცესში. ცალკე საკითხია ის ფაქტი აქვს თუ არა მოსამართლეს თავისი ინიციატივით იმსჯელოს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.

²⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კემო ნაწილი, 2017. გვ 201

²⁵ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 525

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კოდექსის კომენტარი. 2015. გვ 250

ჩვენი საპროცესო კოდექსი არ უკრძალავს წინა სასამართლოს სხდომის მოსამართლეს მხრეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობების გარეშე გარკვეულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხი, რაც ჩემი აზრით მისაღები და მისასალმებელია.

მოსამართლე აფასებს მტკიცებულებებს და არ იცნობს მას იმ შემთხვევაში თუ ის საერთოდ არაა კავშირში არსებულ საქმესთან.

„მტკიცებულების რელევანტურობა გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე და მისი შეფასებისას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: ა) ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს მტკიცებულება და ბ) არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის.

მათივე განმარტებით მტკიცებულება რელევანტურია თუ ის:

1. ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე
2. ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია სხვა მტკიცებულებებით,
3. მიუთითებს სხვა მტკიცებულებების არსებობაზე,
4. ახასიათებს ამა თუ იმ საგამომიებო მოქმედების წარმოების პირობებსა და წესს და ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმებას,
5. ადგენს ფაქტებს, რომელიც ეწინააღმდეგება საგამომიებო ვერსიას; •
უკუაგდებს უკვე დადგენილ გარემოებებს,
6. მიუთითებს ე.წ. მომიჯნავე შემადგენლობის არსებობა/არარსებობაზე,
7. ადასტურებს ე.წ. ნეგატიურ, ანუ არარსებულ, მაგრამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში ბუნებრივ გარემოებებს“²⁷.

წინასასამართლო სხდომის სტანდარტი არის ალბათობის მაღალი ხარისხი, როდესაც წინა სასამართლო სხდომის მოსამართლე შინაგანი რწმენის

²⁷ ავტორთა კოლექტივი (ქეთევან ჩომახაშვილი). მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. 2016, გვ 35.

საფუძველზე აფასებს ბრალდების სიმაყარეს, როდესაც ივარაუდება რომ დანაშაული ჩაიდინა ამ კონკრეტულმა პირმა.

ჩემი აზრით ეს სტანდარტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ დროს ხდება მათი კანონიერების შემოწმება, დამაგრება და შემდგომ კი გადატანა საქმის არსებით განხილვაზე.

სწორედ წინასასამართლო სხდომის დროს უნდა შეაფასოს მოსმართლემ და დაადგინოს არის თუ არაა მტკიცებულება დასაშვები და აკმაყოფილებს თუ არა ბრალდება ალბათობის მაღალ ხარისხს, ამოტომაც ვთვლი რომ წინასასამართლო სხდომა უმნიშვნელოვანესი ეტაპია სამართალწარმოების დროს.

შემდომი სტანდარტი გახლავთ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, რომელიც არის უმაღლესი სტანდარტი. ეს არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. მოსმართლეს საქმის არსებითი განხილვის დროს გამოაქვს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი²⁸.

მტკიცებულებათა დაუშვებლობა გაცვლის წესების დარღვევით

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მიხედვით:

1. „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ

²⁸ აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ 277

ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.

2. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.

3. ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

5. დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.

6. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

8. ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა , რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ , ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები“²⁹.

ასევე სსსკ-ის 83-ე მუხლის მიხედვით „ინფორმაციის გაცვლა ხდება სავალდებულო წესით წსს- სხდომამდე 5 დღით ადრე, ასევე ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე და ინფორმაციის გაცვლა მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც დასაშვებია ეს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე

²⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2017. 83-ე მუხლი. გვ 80.

და აუცილებელი წინაპირობაა მოითხოვოს დაცვის მხარემ ბრალდების მხარისაგან მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გადაცემა, ანუ ბრალდების მხარე ვალდებულია გააცნოს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული მტკიცებულება და გადასცეს მამხილებელი სახის მტკიცებულებანი³⁰.

„ დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე“³¹.

„ბრალდების მხარეს მას შემდეგ წარმოეშვება უფლება რომ მოითხოვოს მტკიცებულებები რაც ის დაცვის მხარეს გადასცემს მტკიცებულებებს, ასევე დაცვის მხარესაც აქვს ვალდებულება გადასცეს მტკიცებულებები ბრალდების მხარეს. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის თაობაზე რომ დაცვის მხარეს ესაჭიროება ვადა, რათა გადასცეს მტკიცებულებები ბრალდების მხარეს, ჩემი აზრით ასეთი რამ არასწორია, რადგან მხარეები სარგებლობენ შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე და მათ შორის რაიმე უპირატესობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი“³².

მინდა ყურადღება გავამახვილო თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებაზე 1გ/860-17 სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ „ თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ივნისის განჩინებაზე, ბრალდებულ ლ. წ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. გ.-ს საჩივარის მიხედვით. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ემუხლით განზრახ მკვლელობის მცდელობა და სსკ-ის 120-ე მუხლით, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია ბრალდებულ ლ.წ-ს მიმართ. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2017

³⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2017 83-ე. გვ 81

³¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი. კემო ნაწილი 2017

³² 1. აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ 39

წლის 10 ივნისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე, თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული იქნა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხიც, რა დროსაც დამტკიცდა დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, დაცვის მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით, გარდა შემდეგი მტკიცებულებებისა: მოწმეების ლ. წ.-ს, ნ. ბ.-ს, ზ. კ.-ს, ე. რ.-ს, გ. ფ.-ს, მ. გ.-ს, გ. დ.-ს, ა. დ.-ს გამოკითხვის ოქმები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; ს.პ.ს „ჯ. ჰ.-დან“ გამოთხოვილი ცნობა 127, სამედიცინო დოკუმენტი-ფორმა 100; საექსპერტო დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი- ეს მტკიცებულებები პირველმა ინსტანციამ იმ საფუძველით სცნო დაუშვებლად, რომ დარღვეული იყო სსსკ-ის 83-ე მუხლის 2 - ე პუნქტი, რადგან არ გადაეცა ბრალდების მხარეს დაცვის მხარისაგან მის ხელთ არსებული ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივარი და დაასაბუთა , რომ : დაცვის მხარის საჩივართან დაკავშირებით, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს, ე.ი აღნიშნული ნორმა, სიტყვასიტყვითი განმარტებით, თავის მხრივ დაცვის მხარესაც აკისრებს ბრალდების მხარისთვის მტკიცებულებათა გადაცემის ვალდებულებას თუ არსებობს ბრალდების მხარის შესაბამისი მოთხოვნა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას, ანუ კანონმდებელმა მიიჩნია მტკიცებულების ძალის მქონე ინფორმაციის კანონით პირდაპირ დადგენილი წესის დაცვით გაცვლა, ხოლო მისი დაუცველობა წარმოადგენს კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული მოთხოვნის არსებით დარღვევას, რაც ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას იწვევს. სასამართლო მიუთითებს, რომ დასახელებული ნორმის მიზანს წარმოადგენს სისხლის

სამართლის საპროცესო მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის წინაპირობის შექმნა, რათა მხარეებმა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში შეძლონ ეფექტურად განახორციელონ საკუთარი პოზიციების დაცვა. საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი ინფორმაციის გაცვლის პროცედურას ერთის მხრივ უკავშირებს მხარეთა მოთხოვნას, ხოლო მეორეს მხრივ ითვალისწინებს მტკიცებულებათა სავალდებულო წესით გაცვლას მე-6 ქ/პუნქტის მიხედვით წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ბრალდების მხარის უფლება მასალების გამოთხოვაზე ნაწარმოებია დაცვის მხარის უფლებიდანაც, ანუ წინასასამართლო სხდომამდე ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება გარდა არსებულისა, ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს დაცვის ხელთ არსებული მტკიცებულებების მისთვის გადაცემა თუ დაცვის მხარე მოითხოვს ბრალდებისაგან მოპოვებულ მტკიცებულებათა გადაცემას. შესაბამისად, საჩივრის მოტივთან დაკავშირებით, რომ ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა გადაეცა დაცვის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რითაც შესრულებულ იქნა სსსკ-ის 83-ე მუხლის როგორც მე-2, ასევე მე-6 ნაწილების მოთხოვნები, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა როგორც პროცედურულად, ასევე სამართლებრივად აბსოლუტურად დამოუკიდებელია ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნისაგან, ვინაიდან იგი ადგენს მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას და დამოკიდებულია მხარის მოთხოვნაზე, რომელიც წარმოიშობა დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარისთვის შესაბამისი მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა გადამწყვეტია არა ის, მტკიცებულებები მოპოვებულია თუ არა კანონის დაცვით ან კანონის არსებითი დარღვევით, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოპოვებული მტკიცებულებები მეორე მხარისათვის კანონით დადგენილი წესებისა დაცვით

იქნას მიწოდებული.³³“ განმარტა მოსამართლე „სასამართლო უფლებამოსილია დაცვის მხარის მოთხოვნა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის მიღების თაობაზე ნაწილობრივ შეზღუდოს და არ დააკმაყოფილოს წეს სხდომამდე, თუ ეს მოთხოვნა ეხება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მიღებულ ინფორმაციას“³⁴.

წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის წარდგენასაც აპირებენ ისინი სასამართლოში მტკიცებულებად. ვადის დარღვევის შემთხვევაში არ ხდება მისი აღდგენა რაც ატარებს იმპერატიულ ხასიათს და მივესალმები ამ ფაქტს, რადგან ვთვლი რომ ამ შემთხვევაში არცერთ მხარეს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა რათა მოხდეს სამართალწარმოების ეფექტური და მიუკერძოებელი განხორციელება. ყოველივე ამისათვის კანონმდებელი გვიდგენს გონივრულ ვადას, რაც არცერთი მხარის მიერ არ უნდა იყოს დარღვეული.

მსურს მოვიყავნო ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 9 აგვისტოს განჩინება ბრალდებულ გ. ბ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის დ. მ.-ს საჩივარიზე, რომელიც ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვახტანგ მელაშვილის 2016 წლის 03 აგვისტოს საოქმო განჩინების გაუქმებას, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში და აღნიშნული მტკიცებულებების საქმის არსებით განხილვაზე დასაშვებლად ცნობას. „აღნიშნულ საქმეზე, 2016 წლის 16 ივნისს 17:52 საათზე ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა გ. ბ., რომელსაც 2016 წლის 17 ივნისს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით და 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილის 2016 წლის 19 ივნისის განჩინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით და წინასასამართლო

³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია 1/გ 860-17. თბილისი.

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. 2013, გვ. 272

სხდომა დაინიშნა 2016 წლის 3 აგვისტოს 12:00 საათზე. ასევე 2016 წლის 22 ივლისს გამოტანილი ბრალდების დადგენილება გადაეცა ბრალდებულს და ადვოკატს.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2016 წლის 03 აგვისტოს. აღნიშნულ სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის მიერ განხილული იქნა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. კერძოდ, არ იქნა დაშვებული სასამართლოში დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის მხარის მიერ არ იქნა დაცული საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. საპროცესო კოდექსის ეს ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ დაცვის მიერ, მისი მტკიცებულებების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი მასალები ბრალდების მხარეს გადაეცა 2016 წლის 29 ივლისს და იმავე დღეს წარდგენილ იქნა სასამართლოში. უდავოა ისიც, რომ წინასასამართლო სხდომა მოცემულ საქმეზე დაინიშნული იყო 2016 წლის 3 აგვისტოს. შესაბამისად, წინასასამართლო სხდომისათვის არაუგვიანეს 5 დღეს წარმოადგენდა 2016 წლის 28 ივლისი, ხოლო ინფორმაციის გაცვლის დღიდან - 2016 წლის 29 ივლისიდან 5 დღე იმის გათვალისწინებით, რომ ვადის ათვლა საქართველოს სსსკ-ს 86-ე მუხლიდან გამომდინარე იწყება მეორე დღეს - 2016 წლის 3 აგვისტო წარმოადგენდა მე-5 დღეს, მხარეს კი არ აქვს უფლება შეიჭრას 5 დღიან ვადაში, რაც მხოლოდ მეორე მხარის და სასამართლოსთვის არის განკუთვნილი. ამიტომ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საპროცესო კანონის მოთხოვნის დარღვევას და დაცვის მხარის მიერ წარდგენილ ინფორმაციათაგან სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაზე არ დაუშვა არც ერთი მტკიცებულება. დაცვის მხარის მიერ

საჩივარში მითითებულია, რომ დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს მტკიცებულებები გაუცვალა 29 ივლისს ხოლო წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 3 აგვისტოს. ივლისის თვე იყო არა 30-ით არამედ 31-ით ანუ დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს მტკიცებულებები გადასცა არა 5 დღით ადრე არამედ 6 დღით ადრე, ხოლო მოსამართლემ 6 დღე ჩათვალა 4 დღედ. რაც შეეხება საგამომიებო კოლეგიის გადაწყვეტილებას : საგამომიებო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. აღნიშნული ნორმა არის იმპერატიული ხასიათის და არ ითვალისწინებს სხვა რაიმე ალტერნატივას ამ ვადის დაუცველობისათვის. შესაბამისად, პროცესის მონაწილე მხარეებს აქვთ კანონით გათვალისწინებული პირდაპირი ვალდებულება, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა ერთმანეთს და სასამართლოს მიაწოდონ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2016 წლის 03 აგვისტოს, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებული იყვნენ, აქედან გამომდინარე, მხარეებს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები უნდა გაეცვალათ 2016 წლის 29 ივლისამდე და არა 29 ივლისს. აღნიშნული ვალდებულება დაცვის მხარემ დაარღვია და მტკიცებულება ბრალდების მხარეს გადასცა 2016 წლის 29 ივლისს, იმავე დღეს წარადგინა სასამართლოშიც. დაცვის მხარის მოქმედება უნდა შეფასდეს საპროცესო კანონის დარღვევად, ვინაიდან არ არის შესრულებული კანონის იმპერატიული დათქმა და მოთხოვნა ხუთი დღით ადრე წინასასამართლო სხდომამდე მტკიცებულებების გაცვლისა და წარდგენისა. შესაბამისად საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნო. არ არსებობს რაიმე გარემოება და არც დაცვის მხარეს დაუსახელებია ვადის

დარღვევით წარდგენილი ინფორმაციის ვადაში წარუდგენლობის საფუძვლიანი არგუმენტი, მით უფრო, რომ მას არაერთი დოკუმენტი მოპოვებული ჰქონდა 28 ივლისამდე.

მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია უსაფუძვლოა ხსენებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისათვის. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე დაცვის მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულია არსებითად სწორი გადაწყვეტილება³⁵.

თავი 4

მტკიცებულებათა დასაშვებობა

„სამართალწარმოების პროცესში მთავარი ღერძი გახლავთ მტკიცებულებები. სწორედ მტკიცებულებები თამაშობს გადამწყვეტ როლს ბრალდებულის ბედის გადაწყვეტისას, ამიტომ აუცილებელია ისინი წარმოადგენდნენ სანდოობის გარანტიას. ჩემი აზრით, დღეს მოქმედი კანონმდებლობა სრულად გვაწვდის სამართლებრივ გარანტიას, რომ დადგენილ იქნეს ჭეშმარიტება“³⁶.

“მტკიცებულებათა დასაშვებობა რომ კარგად განვმარტოთ, ეს გახლავთ პროცესუალურად დადგენილი წესების დაცვით მიღებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლის დასაშვებობის ბედს წყვეტს მოსამართლე, ხოლო რაც შეეხება ზუსტ განმარტებას ეს გახლავთ: „სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა“³⁷.

³⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის გადაწყვეტილება 1-გ 860-17.

³⁶ აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ 395

³⁷ მამნიაშვილი, გაბოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 69

„მტკიცებულებათა დასაშვებობა კანონით დადგენილი უამრავი წესის დარღვევას გულისხმობს. სწორედ მკაცრად განსაზღვრულმა წესებმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციისათვის მტკიცებულების ძალის მინიჭება. სხვაგვარად მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება. ე.ი მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისათვის იურიდიული ძალის მინიჭებასაც გულისხმობს. „ იურიდიულ ძალაში“ სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის გამოყენების, ამ ინფორმაციის მეშვეობით საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის და მის საფუძველზე საპროცესო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა იგულისხმება. თუ ინფორმაცია საპროცესო წესით არ იქნება დამაგრებული და თუ მან მტკიცებულების სატატუსი არ შეიძინა, ასეთ ინფორმაციას არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს. ის დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება ცნობილი. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება კი შეაბამისი საპროცესო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოირიცხება სისხლის სამართლის საქმიდან, როგორც იურიდიული ძალის არმქონე. შესაბამისად, მას აღარ აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა და სისხლის სამართლის საქმეზე მისი გამოყენება შეუძლებელია“³⁸.

ზოგადად საიდან იწყება მთლიანი პროცესი? - რათქმაუნდა დანაშაულის ნიშნებიდან. გამოძიების და სამართალწარმოების პროცესი ერთი დიდი უწყვეტი ჯაჭვია, რომელიც საჭიროებს სიფრთხილეს. სამართლებრივ შედეგს წარმოშობს ინფორმაცია რომელიც იძენს მტკიცებულების ძალას, როგორცაა პირის ბრალდებულად ცნობა, დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღასურება.

„სამართლებრივ სახელმწიფოში ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლიტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს, ჭეშმარიტება დადგენილ უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით, შესაბამისად მხარეების მიერ

³⁸ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 10

მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ³⁹“.

სსსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით „ ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგავარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, დაუშვებელია და ურიდიული ძალა არ გააჩნია“.⁴⁰ მოგეხსენებათ რომ ჩვენი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზუსტ ჩამონათვალს თუ რა მტკიცებულება შეიძლება მივიჩნიოთ დასაშვებად/დაუშვებლად ეს უნდა განსაზღვროს თავად მოსამართლემ „ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“.

გიორგი თუმანიშვილი გვაწვდის ინფორმაციას მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვაზე „ მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა ეს არის როდესაც იმფორმაციის მოპოვება არის არაკანონიერი:⁴¹

1. გარკვეული თემების შესახებ, როდესაც ხდება საიდუმლო ინფორმაციის მოძიება ისე, რომ არ არის სასამართლო განჩინება
2. დაუშვებელი მეთოდების გამოყენებისთ, როდესაც ხდება ინფორმაციის მოპოვება არაკანონიერი გზით
3. გარკვეული წყაროებიდან იგულისხმება როგორც პერსონალური, ისე ნივთიერი მტკიცებულებების და დოკუმენტების მოპოვების აკრძალვა, მაგალითად როდესაც ხდება პირებისგან იმ ინფორმაციის გადაცემა, რომლებსაც ამის ვალდებულება არ გააჩნიათ.

³⁹ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012 გვ 79

⁴⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი.2018.გვ74.

⁴¹ თუმანიშვილი გიორგი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014.

4.1 მტკიცებულების მოპოვებაზე უფლებამოსილი სუბიექტი

„მტკიცებულება მოპოვებული უნდა იქნეს უფლებამოსილი სუბიექტების მიერ, რომ ის დასაშვებად იქნეს ცნობილი, აგრეთვე დაცული უნდა იყოს მტკიცებულებათა გადაცემისთვის დაცული ვადები და აკმაყოფილებდეს საქმესთან მიმართების სტანდარტს. იმ შემთხვევაში თუ არ მოხდა მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება და მათ არ შეიძინეს იურიდიული სტატუსი გამოდის რომ დარღვეულია საპროცესო ნორმა, რაშიც იგულისხმება ადამიანის უფლებები. მაგალითად ჩხრეკის ან ამოღების დროს დეტალურად უნდა აღიწეროს ყველა ის დეტალი რაც ჩატარდა კონკრეტული სგამომიებო მოქმედების დროს“⁴².

„სისხლის სამართლის პროცესში ძალიან აქტუალურია მტკიცების პროცესის სუბიექტის საკითხი. როგორც ვიცით, სისხლის სამართლის პროცესი ეფუძნება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც დაცვისა და ბრალდების თანასწორუფლებიანობას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მტკიცების პროცესში დაცვის მხარის მონაწილეობა გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. სისხლის სამართლის პროცესი სამართლებრივი ურთიერთობაა, მაგრამ ნურც ის გვავიწყდება, დაცვის მხარე საპროცესო მოქმედებების განხორციელების სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი არ არის და ვერც იქნება“⁴³.

„მტკიცების პროცესს წარმართავს პირი, რომლის ქვემდებარეობაშიცაა სისხლის სამართლის საქმე და რომელიც ფლობს სათანადო ცოდნას, აღჭურვილია შესაბამისი ფუნქციებით და პირადად არ არის დაინტერესებული საქმის გარემოებებით. ამასთანავე აღსანიშნავია მოსამართლის განსაკუთრებული მნიშვნელობა მტკიცების პროცესში. მოსამართლე არ არის მხარე და უშუალოდ არ

⁴²აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ 377

⁴³ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 49

მოონაწილეობს მტკიცებულებათა შეგროვებაში, მიუხედავად ამისა მტკიცების პროცესში მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მოსამართლე აფასებს მტკიცებულებათა კანონიერებას, წყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს და იღებს ობექტურ გადაწყვეტილებას⁴⁴.

„მტკიცებულებათა დასაშვებობის დროს მნიშვნელოვანია გამოვყოთ და თავი მოვუყაროთ იმ კრიტერიუმებს, რომლითაც ხდება დასაშვებობის საკითხის ხელმძღვანელობა: მტკიცებულება აუცილებლად უნდა მოიპოვოს უპლემბამოსილმა პირმა. თუ მტკიცებულება მოპოვებულ იქნა არაუპლემბამოსილი პირის მიერ ის აუცილებლად დაუშვებელი მტკიცებულებაა. ასევე პირები ან ორგანოები, რომელთაც არ აქვთ უფლება შეკრიბონ ან მოიპოვონ მტკიცებულებები, შემდგომში სასამართლოში ვერ შეზღუდვენ იდავონ ამ მტკიცებულებათა თაობაზე. ყოველივე ეს გახლავთ მართლმსაჯულების განხორციელების გარანტი და თითოეულ მოქალაქეს გააჩნია კანონიერი ნდობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. თუ კანონიერი ნდობა არ იქნება მიღწეული სახელმწიფოს მიმართ მაშინ საფუძველი იქნება ეჭვქვეშ დადგეს მთელი ის პროცესები, რაც განაპირობებს ზოგადად სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებას⁴⁵. „არაფერი არ ლახავს სახელმწიფოს იმიჯს, ავტორიტეტს და ძირის უთხრის ისე სწრაფად, როგორც სახელმწიფოს მიერ მისი მოხელეებსი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით სარგებლობა და მისგან გამორჩენის მიღება“.⁴⁶

„პროკურორი / გამომძიებელი მოიაზრება როგორც უფლებამოსილი სუბიექტები. სწორედ ისინი მოიპოვებენ მტკიცებულებებს, რომელთაც შემდგომში ენიჭებათ მტკიცებულებითი ძალა. მათ უნდა შეკრიბონ როგორც გამამტყუნებელი ისე გამამართლებელი მტკიცებულებები და უნდა იმოქმედონ კანონიერად. პროკურორი/გამომძიებელი არიან ის პირები, რომელთა

⁴⁴ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 51

⁴⁵ მამნიაშვილი, გახოვიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 385

⁴⁶ თუმანიშვილი გიორგი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. 2014.გვ.102

დაქვემდებარებშიცაა საქმე და ისინი უფლებამოსილნი არიან სრულად და ობიექტურად აწარმოონ საქმე. რაც შეეხება ექსპერტსა და თარჯიმანს მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. სახელმწიფოსგან მათ დაკისრებული აქვთ ის უფლებამოსილებები, რაც გაწერილია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს სწორედ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. ჩემი აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო ნორმების დაცვას, რადგან თუ ეს ნორმები არ იქნება დაცული შეუძლებელი გახდება საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ეს წესები უზრუნველყოფენ მონაწილეთა უფლებების დაცვას და ამ წესების დაეღვევით შეიძლება მიარეხულ იქნეს უკანონო გადაწყვეტილება⁴⁷.

4.2 დასაშვებობის განხილვა საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში

საკამათოა და ვფიქრობ რატომაცაა საჭირო ფორმალურობა და რატომ უნდა იქნეს დაუშვებლად ის მტკიცებულებები, რომლებიც არ არიან აღწერილნი სიზუსტით საპროცესო დოკუმენტში? მაშინ ბუნებრივია ჩნდება კითხვა ხომ არ დარღვეულა კანონი, რამდენად კანონიერი იყო კონკრეტული მოქმედებები, საფრთხე ხომ არ ექმნება სამართალწარმოების სიმტკიცეს.

„ მტკიცებულებები არ შეიძლება მოპოვებულ იქნეს სამართლებრივი რეგულირების გარეშე. ამ შემთხვევაში რისკია არასაიმედობისა. მტკიცებულებები , რომელთ დამტკიცებასაც მხარეები აპირებენ უნდა იქნეს დაცულნი სწორად სამართლებრივი ფორმით სწორედ ესაა ინფორმაციის ნამდვილობის გარანტი. „საკუთარი პოზიციის დაცვა ძლიერი არგუმენტაციით

⁴⁷ აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ 445

არის შესაძლებელი. ყოველივე ეს კი შესაძლებელია კანონის მკაცრად დაცულ პირობებში.⁴⁸

„ ბრალდების მხარე შეძლებს დაასაბუთოს საკუთარი პოზიციის ობიექტურობა მხოლოდ საპროცესო ფორმის დაცვის დროს. სხვა შემთხვევაში სამართლიანობასთან დაკავშირებით შიქმნება პასუხგაუცემელი კითხვები. აქედან ვასკვნით, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას ხელისშემშლელია არ მტკიცების პროცესის სამართლებრივი რეგულირებას, არამედ, მოუწესრიგებელი ურთიურთობები“⁴⁹.

„სახელმწიფოს ვალი პირველ რიგში გახლავთ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიზნების განხორციელება. რაც მეტად დახვეწილი და რეგულირებული, ეფექტური იქნება კანონმდებლობა მით მეტად მარტივი გახლავთ სამართლიანი სისტემის დამკვიდრება“⁵⁰.

4.3 მტკიცებულებათა დასაშვებობა სხვადასხვა საშუალებებით

როგორც უკვე მოგახსენეთ, მტკიცებულებებს რომლებიც კანონის დარღვევით არის მოპოვებული იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.

„ დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება ბრალდებულად ცნობისთანავე, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან თუ ის არ დაუკავებიათ ბრალდების შესახებ დადგენილების არსი რაც გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რასაც ასევე , მირანდას წესებს უწოდებენ“⁵¹.

⁴⁸ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 300

⁴⁹ 1. აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ 50

⁵⁰ 1. აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.გვ300

⁵¹ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012 გვ 500

„ბრალდებული ხომ ეს არის პირი, რომლის ირგვლივაც აგებულია მთლიანი პროცესი და რომლის მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული ის რეგულაციები, რომლებიც გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. ეს ის ძირითადი საპროცესო უფლებებია ბრალდებულისა, რომლებიც მკაცრად უნდა იყოს დაცული პროცესის მონაწილე სიბიექტების მიერ. თუ არსებული უფლებები ბრალდებულს შეეზღუდა მაშინ საკითხი დგება კონკრეტული პირების კონკრეტული პასუხისმგებლობის საკითხისა“⁵².

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ბრალდებულს ანიჭებს ისეთ მნიშვნელოვან უფლებას როგორცაა საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. კერძოდ კანონიდან გამომდინარე: „თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული და მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა რათა ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მტკიცებულებათა მოპოვება.“⁵³ „იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე დააკმაყოფილებს შუამდგომლობას შუამდგომლობის დამყენებელ მხარეს ანუ ბრალდებულს/მის ადვოკატს ეცნობება საგამომიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ეს წესი არ იქნება შესრულებული მაშინ საკითხი დადგება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე“⁵⁴.

ასევე მინდა ავლნიშნო, ამასთანავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39 - ე მუხლის მიხედვით ბრალდებულს უფლება აქვს, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით, მოიპოვოს მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს

⁵² იქვე გვ : 302

⁵³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

⁵⁴ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 280

გამომძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვება.⁵⁵

4.4 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 112-ე მუხლით ჩატარებული მოქმედებები

“საინტერესოა ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი, რომელიც ეხება გადაუდებელ აუცილებლობას. კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებათა დასაშვებობას”⁵⁶.

განვიხილავ მაგალითისათვის საგამომძიებო მოქმედება - დათვალიერებას. „თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას“⁵⁷ - გვეუბნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. როდესაც შეიძლება განადგურდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. ამ დროს გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება, რის თაობაზეც უკვე პროკურორი შუამდგომლობს სასამართლოში გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედების-დათვალიერების დასაშვებობაზე, საგამომძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში გამომძიების ადგილის მიხედვით. ანუ, როგორც აღვნიშნე საჭიროა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, თუ

⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. 2018. გვ. 45

⁵⁶ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010.

⁵⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112 მუხლის პირველი ნაწილი. 2018. გვ. 104

მოსამართლე მიიჩნევს, რომ სტანდარტი არ არსებობდა და თუ მოსამართლე მიიჩნევს/დაადგენს, რომ განზრახ არის გამოყენებული გადაუდებელი აუცილებლობა ეს მტკიცებულება დაუშვებლად გამოცხადდება.

112-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერება.⁵⁸ 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი არ ითვალისწინებს იმ სახის გამონაკლისს, რომ ჩხრეკის ანდა ამოღების კანონიერების განხილვაზე უარი უნდა თქვას მოსამართლემ თუ სახეზეა კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა.

⁵⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი. 2018 გვ 105

4.5 ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა

„ფარულ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწყსრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ის ტარდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით, ასევე გადაუდებელი აუცილებლობითაც. ფარული საგამომიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება კანონმდებელმა მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორის და მოსამართლეს მიანიჭა, ისიც იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მოსამართლის მიერ განსახილველ საკითხს, ხოლო დაცვის მხარეს ამ ინფორმაციაზე წვდომა მტკიცებულებათა გაცვლისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს ეძლევა“⁵⁹.

ფარული საგამომიებო მოქმედების დროს ადგილი აქვს ბრალდებულის უფლებების შეზღუდვას, რომელიც გაწერილია საქართველოს კონსტიტუციით. აქტიურად ხდება პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა. მინდა ჩამოვთვალო ის ღონისძიებები, რომელთა შეზღუდვაც ხდება სსსკ-ის 143*1 - ით. ფარული საგამომიებო მოქმედების სახეებია:⁶⁰

ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა

⁵⁹ სისხლის სამართლის აპროცესო კოდექსი. 143-ე მუხლი. 2018. გვ 130

⁶⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143 პრიმა მუხლი. 2018. გვ 130

ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია

გ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა (ამოქმედდეს 2020 წლის 30 მარტიდან

დ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი

ე) ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება

ვ) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს. ფარული საგამომიებო ღონისძიებები დაიშვება მხოლოდ განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში⁶¹.

⁶¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2018.

4.6 მტკიცებულებათა დასაშვებობა სსსკ-ს 72 მუხლით დადგენილი წესით

მსურს ყურადღება გავამახვილო სსსკ-ის 72 მუხლის მე-2 ნაწილზე „მტკიცებულება დაუშვებელია ასევე თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსის დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“⁶². ყოველივე ეს ეჭვქვეშ აყენებს ამ ინფორმაციის სანდოობას. უარყოფით შედეგებს იწვევს მაშინ თუ საქმეს განიხილავს ნაფიცი მსაჯულები. იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულმა გამოძიების დროს მისცა ჩვენება და შემდეგ საქმის არსებითი განხილვის დროს გამოიყენა დუმის უფლება ეს არ შეიძლება შეეფასედეს როგორც ინფორმაციის წყარო და იგი დაუშვებელი მტკიცებულებაა.

“მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ. აქედან გამომდინარე მტკიცებულება არ იქნება ავთენტიკური თუ გაჩნდება გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. მხარე აუცილებლად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ სასამართლოს, იმისათვის რომ ასეთი ეჭვი არ გაჩნდეს”⁶³.

⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი. 2015.გვ 74

⁶³ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010.

4.7 ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებანი

“სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებული სარგებლობს ერთ-ერთი უპირატესი უფლებით, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში”⁶⁴. (არ იგულისხმება ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები). კანონიდან გამომდინარე ,, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართლოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების მოპოვება“⁶⁵. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე დააკმაყოფილებს შუამდგომლობას ბრალდებულსა და მის ადვოკატს ეცნობებათ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ეს ყოველივე ასე არ მოხდა საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარდება და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება დაუშვებლად იქნება ცნობილი. კონკრეტულ მომენტში არ იგულისხმება შემთხვევა როცა ბრალდებულს თავისუფლება აქვს ადკვეთილი. თუ საგამოძიებო მოქმედებაში აუცილებელია ბრალდებულის მონაწილეობა, მაშინ ადვოკატის მონაწილეობაც კი ვერ აქცევს მხოლოდ ამ მოქმედებას დასაშვებად.

⁶⁴ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010.

⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2015. 112-ე მუხლი. გვ 104

4.8 გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები დათვალიერება, ჩხრება/ამოღება

ვფიქრობ დასაშვებობის საკითხის განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების კანონიერებაზე საუბარი. რაც შეეხება ცნების განმარტებას ითვლისწინებს კერძოდ 112-ე მუხლი. „ გადაუდებელი აუცილებლობა ტარდება, როცა საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და თუ არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანების რეალური საფრთხე“⁶⁶.

„ ბრალდების მხარეს აქვს უფლება აქვს ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას.

ასევე მსურს განვიხილო შემდეგი საგამოძიებო მოქმედებანი, როგორცა ჩხრეკა, ამოღება და დათვალიერება“⁶⁷.

„ თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას ის ტარდება სასამართლო განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი როცა მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას“⁶⁸. აღნიშნულ მოქმედებას მხარის შუამდგომლობით ატარებს მხარე სასამართლო განჩინებით, ხოლო დაცვის მხარის შუამდგომლობის დროს სასამართლო გამოყოფს სხვა დამოუკიდებელ გამომძიებელს კონკრეტული საქმიდან ან იმავე გამომძიებელს

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი, 2018, გვ 104

⁶⁷ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 500

⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი, 2018, გვ 104.

თუ არსებობს დაცვის მხარის წერილობითი თანხმობა. ამ კონკრეტული შემთხვევიდან გამონაკლისია გადაუდებელი აუცილებლობა. გადაუდებელი აუცილებლობის დროს შესაძლებელია განადგურდეს საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. სწორედ ამიტომ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება, რის თაობაზეც პროკურორი შუამდგომლობს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედების, კერძოდ, დათვალიერების ჩატარების თაობაზე საგამომიებო მოქმედებების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში გამოძიების ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე დაადგენს რომ გადაუდებელი აუცილებლობა განზრახ არის გამოყენებული და არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, ეს მტკიცებულება დაუშვებლად იქნება ცნობილი.

ასევე მსურს ვისაუბრო ისეთ საგამომიებო მოქმედებაზე, როგორცაა ჩხრეკა/ამოღება. ჩრეკა და ამოღება ისეთი საგამომიებო მოქმედებებია, რომელიც მიზნად ისახავს მტკიცებულებათა მოპოვებას. ჩხრეკა/ამოღება აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს კანონის ნორმებს. ამ საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას ასევე შესაძლებელია საფრთხე შეექმნას დაცულ სიკეთეს, როცა ხდება სხვისი მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა. „ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებლობის შემთხვევაში გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე გამომძიებელს უფლება აქვს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად თუ ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში.⁶⁹

“გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა/ამოღება უნდა ჩატარდეს გამომძიებლის დადგენილებით, რომელიც უნდა შედეგს საგამომიებო მოქმედების დაწყებამდე ან მის შემდგომ. ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს გადაუდებელი აუცილებლობა წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება დაუშვებელი

⁶⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი. 2018. გვ 111

მტკიცებულება. სასამართლო კი ამოწმებს რეალურად არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობა”⁷⁰.

„არსებობს ჩხრეკა/ ამოღების წარმოებაზე სასამართლო კონტროლის ორი ფორმა:

1. წინასწარი ანუ სასამართლო სანებართვო კონტროლი - ანუ როცა ჩხრეკა/ ამოღება ხდება ჩხრეკა/ამოღების წარმოების შესახებ სასამართლოს მიერ წინასწარ გაცემული განჩინების საფუძველზე და
2. შემდგომი ანუ შემოწმებითი სასამართლო კონტროლი- როდესაც ჩხრეკა ამოღება ტარდება მოსამართლის წინასწარ გაცემული განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, ხოლო შემდომ კანონით დადგენილი წესითა და პროცედურებით ჩხრეკა/ამოღების კანონიერების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო“⁷¹.

მსურს ასევე მოვიყვანო მაგალითი, რომელიც ეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14 ივლისის 2016 წლის განჩინებას საქმეზე 1გ/1197. „მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ბადრი პატარაიას საჩივარი ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის ნატო ხუჯაძის 2016 წლის 10 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც უარი ითქვა საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვაზე. 2016 წლის 10 ივლისს 03:40 წუთიდან 04:35 წუთამდე ქ. თბ.-ში ჯ.-ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ავტომანქანა „აუდი“-ს –ის ჩხრეკა და ჩხრეკის შედეგად წინა მარცხენა სავარძლის მარცხენა გვერდით განთავსებულ პლასტმასის ზედაპირიდან ამოღებულ იქნა ორი ცალი მოცისფრო-მოთეთრო სამკუთხედის ფორმის აბი. 10 ივლისს პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს აღნიშნული ჩხრეკის კანონიერების შემოწმების მიზნით. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის ნატო ხუჯაძის 2016 წლის 10 ივლისის განჩინებით უარი ითქვა შუამდგომლობის

⁷⁰ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010.

⁷¹ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 279

განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ ჩხრეკა ჩატარებული იყო კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით, რაც მოსამართლის აზრით გამორიცხავს ჩხრეკის კანონიერების შემოწმებას წინასასამართლო გამოძიებისას. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსამართლემ უკანონოდ კი არ ცნო ჩხრეკა, არამედ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 212 -ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება გამორიცხავს კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერების საკითხის განხილვას წინასასამართლო გამოძიებისას. მოსამართლე უკანონოდ ან კანონიერად კი არ სცნო ჩხრეკა ან ამოღება არამედ მიიჩნია, რომ ეს საკითხი არ ექვემდებარება განხილვას წინასასამართლო გამოძიებისას. საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამდაგვარი გადაწყვეტილება წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის არასწორი განმარტების შედეგს, კერძოდ 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერება. 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი არ ითვალისწინებს იმ სახის გამონაკლისს, რომ ჩხრეკის ან და ამოღების კანონიერების განხილვაზე უარი უნდა თქვას მოსამართლემ თუ სახეზეა კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა. საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი, რომ კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ჩხრეკის ან /და ამოღების ჩატარებისათვის. ამიტომ სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარის პირობები და დასაშვებად სცნო ზევით აღნიშნული მტკიცებულებები“ .⁷²

⁷² თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის გადაწყვეტილება, 2016 წელი, 14 ივლისი საქმე 1/გ1197

თავი 5

„მოწამლული ხის ნაყოფი“

„ მოწამლული ხის ნაყოფი არის სამართლებრივი თეორია, რომელიც სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულებათა გამორიცხვის მეთოდია⁷³“. „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინას საფუძველი ჩაეყარა ამერიკის სამოსამართლო სამართალში. პირველად აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1939 წლის მიღებულ გადაწყვეტილებაში იქნა გამოყენებული მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტერის მიერ. აგრეთვე მისი გამოყენება მოხდა 1920 წელს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების დროს. საქმეზე “Silverthorne Lumber Co v. United States”. „სილვერთორნი ბრალდებულ(ექვმიტანილ) იქნა ხე-ტყის ბიზნესის წარმოებაში ფედერალური კანონების დარღვევის გამო. რის საფუძველზეც ფედერალურმა აგენტებმა ჩაატარეს უნებართვოდ ჩხრეკა. პროკურორმა ამ ინფორმაციის საფუძველზე მოითხოვა სხვა დოკუმენტაციის გამოთხოვის უფლება რაც სასამართლოს მხრიდან დააკმაყოფილდა. სასამართლოს დაადგინა რომ ჩხრეკა უკანონოდ იყო ჩატარებული და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება ცნო ბათილად“⁷⁴.

„ მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპი სისხლის სამართლებრივი პრინციპია და ნიშნავს ისეთ მტკიცებულებათა კატეგორიას , რომელიც მოიპოვეს უკანონო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას. იმ შემთხვევაში როცა პირველადი მტკიცებულებები კანონდარღვევითაა მოპოვებული ნიშნავს რომ მტკიცებულება დაუშვებელადა ცნობილი და მის საფუძველზე მოპოვებული

⁷³ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 70

⁷⁴ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 71

მტკიცებულებებს ვერ გამოვიყენებთ, იმიტომ რომ ხე მოიწამლა და მისი ნაყოფი გამოდის დაუშვებელი მტკიცებულება“⁷⁵.

სსსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას დაუშვებელია და მას იურიდიული ძალა არ გააჩნია“.⁷⁶

ჩემი აზრით, ეს არ შეიძლება ჩავთვალოთ მართებულ მსჯელობად, რადგან თუ უარესდება ბრალდებულის მდგომარეობა მაშინ არ ვიყენებთ ამგვარ ჩანაწერს და რა ხდება მაშინ როდესაც უმჯობესდება ბრალდებულის მდგომარეობა?! რადგანაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მკაცრადაა მითითებული რომ მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია არსებითი დარღვევით მის საფუძველზე მოპოვებული კანონიერი მტკიცებულება არაა დასაშვები შესაბამისად არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა უმჯობესდება თუ უარესდება ბრალდებულის მდგომარეობა. მართალია კანონმდებლის ეს განმარტება ამომავალია იმ პრინციპიდან რომ ყოველი ეჭვი რომელიც არ დადასტურდა წყდება ბრალდებულის სასარგელოდ და ამით დაცულია ბრალდებულის საუკეთესო ინტერესები, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არაა მართებული შეფასება და აუცილებლად დაცული უნდა იყოს თანაზომიერება, რაც არ გულისხმობს არანაირ დათქმას უარესდება თუ უმჯობესდება ბრალდებულის მდგომარეობა.

„ მოწამლული ხის“ დოქტრინამ წარმოშვა ასევე ერთგვარი პრობლემები, რადგან მოაჩნდათ, რომ იგი ხასითდებოდა გარკვეული სიმკაცრით და საჭიროებდა შემსუბუქებას, ამიტომ თეორიაში სასამართლო პრეცედენტების გზით გამონაკლისები დაწესდა, საგამონაკლისო შემთხვევებია :

- 1.დამოუკიდებელი წყაროს თეორია
2. გარდაუვალი აღმოჩენის თეორია

⁷⁵ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 79

⁷⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი პირველი ნაწილი.2018.გვ74

3. უმართებულობის გაწმენდის (ანუ შემსუბუქების თეორია)

4. კეთილსინდისიერების გამონაკლისი⁷⁷.

ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, მაგრამ თუ გამომძიებელმა კანონიერი ჩხრეკის საფუძველზე ამოიღო მტკიცებულება ამავე ბრალდებულის მიმართ, რომელსაც ამხელს დანაშაულის ჩადენში გამოყენებულ უნდა იქნას ბრ.,რაც შეეხება დამოუკიდებელი წყაროს თეორიას, ამ დროს ინფორმაცია მისაღებია იმ შემთხვევაში თუ იგი მომდინარეობს ორი წყაროდან და ერთ-ერთი არაა გაბათილებული მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ბრალდებულის შემთხვევა, როდესაც მას არ განუმარტავენ თავის უფლებებს, აღდებულის წინააღმდეგ⁷⁸. ვფიქრობ, ეს კანონიერია რადგან თუ კი რომელიმე მტკიცებულება გაბათილდება და მეორე მტკიცებულებასთან არანაირი საერთო აღარ აქვს, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს კანონიერი გზით მიღებული მტკიცებულების დასაშვებობას და არ უნდა მოხდეს მთლიანად მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა.

„შემდეგი ეს არის გარდაუვალი აღმოჩენის თეორია რომლის დროსაც „უკანონი მტკიცებულების საფუძველზე მოგვიანებით მოპოვებული მტკიცებულება მისაღებია ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, თავდაპირველი მტკიცებულება გაბათილებულია და აღარ არსებობს, და თუ ის უკანონო ქმედების მიუხედავად, მაინც იქნებოდა აღმოჩენილი⁷⁹“. ვფიქრობ, ეს თეორია საკმაოდ მყარია და იმსახურებს დიდ მხარდაჭერას, რადგან არ უნდა ვთქვათ უარი იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მყარია და მაინც იქნებოდა აღმოჩენილი სხვა საგამოზიებო მოქმედებების ჩატარების დროს და მოსამართლემ ეს მტკიცებულებათა ერთობლიობა არ უნდა ცცნოს დაუშვებლად. მაგალითად თუ უნებართვოდ ჩატარებული ჩხრეკა/ ამოღების დროს აღმოჩენილი იქნება ინფორმაციის შემცველი რაიმე საგანი თუ ნივთიერება ის დაუშვებელი

⁷⁷ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ.73

⁷⁸ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ.74

⁷⁹ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 401

მტკიცებულებაა მაგრამ თუ ეს ნივთიერებები აუცილებლად ამოიღეს, მაშინ რატომ უნდა მოხდეს მათი დაუშვებლად ცნობა?!

„შემდეგი თეორია ეს გახლავთ უმართლობის გაწმენდის თეორია, რაც გულისხმობს რომ თუ თავდაპირველ შეცდომასა და საბოლოო სამხილს შორის მიზეზობრივი კავშირი შესუსტებულია, მოსამართლეს შეუძლია მიიჩნიოს რომ შეცდომა მისატყვებელია“⁸⁰.

ჩემი აზრით, ეს თეორიაა საკმაოდ კარგადაა ჩამოყალიბებული და დახვეწილი, რადგან არ იკვეთება არსებითი დარღვევის ნიშნები, მეტიც იმდენად სუსტია მიზეზობრივი კავშირი რომ თითქოსდა ქმნის დამოუკიდებელ წინაპირობებს, სწორედ ამიტომ ამ მეთოდით აღმოჩენილი მტკიცებულებები არ უნდა იწვევდნენ დაუშვებლობას.

„შემდეგი ეს არის კეთილსინდისიერების გამონაკლისი, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვების დროს სამართალდამცავები მოქმედებენ კეთილსინდისიერად, მაგრამ ამ შემთხვევაში შეცდომას უშვებს მოსამართლე. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ ის ფაქტი რომ სამართალდამცავები განზრახ აწვდიან სასამართლოს არასწორ ინფორმაციას“⁸¹.

ჩემი აზრით, ეს თეორია არ გამოირჩევა დიდი მოწონებით, რადგან სასამართლო, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი ორგანოა და აკისრია ეს ვალდებულება არ უნდა ისარგებლოს შეცდომის მიმტეველობით. ვპიქრობ ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი ზიანი ადგება ბრალდებულის უფლებებს.

სსსკ-ის 72 მუხლი იმპერატიული ხასიათისაა და გულისხმობს არანაირი გამონაკლისი. „არ იძლევა საშუალებას „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინიდან დაშვეულ იქნეს გამონაკლისები“

ვფიქრობ, უმნიშვნელო შეცდომის გამო არ უნდა შეწყდეს საქმის განხილვა, თუმცა გვაქვს სსსკ-ის 72 მუხლი, რომელიც მკაცრად არის რეგლამენტირებული და

⁸⁰ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გ. 130

⁸¹ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012. გვ 91

საერთოდ არ ითვალისწინებს გამონაკლისებს. რაც ჩემი აზრით არ არის სამართლიანი.“ ჩვენ თუ გვსურს რომ მუდმივად ხორციელდებოდეს ეფექტური მართლმსაჯულება და არავის ეპარებოდეს ეჭვი სიმართლესა და ობიექტურობასა და კანონიერებაში, მაშინ ყველამ ერთად უნდა შევუწყოთ ხელი ყველა არსებული საშუალებითა და ხერხებით“⁸².

თავი 6

შედარება საერთო სამართლის ქვეყანებთან მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები/ დიდი ბრიტანეთი ამერიკის შეერთებული შტატები

„აშშსა და დიდ ბრიტანეთში მეტად საინტერესი მიდგომებია გარკვეულ საკითხებთან მიმართებით. აქ სამართალწარმოება დაფუძნებულია შეჯიბრობითობის პრინციპზე და მტკიცებულებათა დასაშვებობის, მოპოვებისა და შეფასების ანალოგიურ პრინციპს ითვალისწინებს“⁸³. „მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად შინაარსს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისაგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მხარეების აღჭურვა თანაბარი საპროცესო უფლებებით

⁸² ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 228

⁸³ ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. მერიდიანი, 2017

და სასამართლოს დომინირებული როლი გადაწყვეტილების მიღებაში⁸⁴. ამერიკულ შეერთებულ შტატებში მტკიცებულებათა დასაშვებობის წინაპირობა გახლავთ ამ მტკიცებულებების საქმესთან შემხებლობა. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების მტკიცებულების შესახებ 402-ე მუხლის მიხედვით დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს არარელევანტური მტკიცებულება. მოსამართლეს შეუძლია ამორიცხოს მტკიცებულებათა სიისდან არარელევანტური მტკიცებულება თუ მისი მტკიცებულებით ღირებულება არსებითად გადაწონილია შემდეგი საფრთხეების მიერ:

1. უსამართლო ზიანი
2. სადავო საკითხის ჩიხში იშეყვანა, აბნევა
3. ნაფიცო მსაჯულების შეცდომაში შეყვანა
4. შეუსაბამო დაყოვნება
5. დროის დაკარგვა
6. უსარგებლოდ წარმოდგენილი ერთობლივი მტკიცებულებები

ასევე მსურს, ყურადღება გავამხვილო იმ ავტორიტეტულ წესებზე, რომლებიც დამტკიცებულ იქნა აშშს უზენაესი სასამართლოს მიერ. ესენია:

1. სისხლის სამართლის პროცესისი ფედერალური წესები
2. სამართალწარმოების წესები ფედერალური მაგისტრების მიერ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვის შესახებ
3. მტკიცების ფედერალური წესები და ა.შ.შ შტატების სამართალი ბევრად ჰგავს ფედერალურს.

რაც შეეხება მტკიცებულებათა სახეებს ესენი გახლავთ:

⁸⁴ აქუბარდია, ირინა. „ მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში“. მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საუბიბილეო კრებული, 2014.გვ202.

„მოწმის ჩვენება - როგორც მტკიცებულების სახე საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა ფედერალური წესების მიხედვით. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იყოს მოწმე და მისი კომპეტენცია აუცილებლად უნდა შემოწმდეს კანონით დადგენილი წესით. მოწმის კომპეტენცია გულისხმობს იმას რომ ჰქონდეს შესაძლებლობა სწორად აღიქვას არსებული მდგომარეობა ახსოვდეს ფაქტები და სწორად მისცეს ჩვენება“⁸⁵.

„მოწმე რათქმაუნდა უნდა იყოს ქმედუნარიანი. მოწმემ უნდა დადოს ფიცი ჩვენების მიცემამდე რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს. ამასთანავე მოწმე არ შეიძლება დაიკითხოს და ჩამოერთვას ჩვენება თუ მას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებზეც დაყრდნობითაც მას უნდა ჩამოერთვას ჩვენება“⁸⁶.

მოწმეები უფლებამოსილნი არიან ჩვენება მისცენ მხოლოდ მათი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის შესახებ.

„ფედერალური წესები აგრეთვე იყენებს მოწმე-ექსპერტის ინტიტუტს. ექსპერტი სასამართლოს წინაშე გამოდის როგორც მოწმე. ექსპერტსა და მოწმე ექსპერტ შორის ის განსხვავებაა რომ ექსპერტი აძლევს დასკვნას, რომელიც მას აწვდის სასამართლოს თავისი ცოდნიდან გამომდინარე, რაც გამომდინარეობს კონკრეტული ფაქტიდან, მაგრამ მისი მტკიცებულება არ წარმოადგენს ამ ფაქტების შესახებ მის პირად ცოდნას. ექსპერტი დასკვნას იძლევა სხვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტზე დაყრდნობით.

ექსპერტის დასკვნა - ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, გამოცდილება და უნარები საქმესთან დაკავშირებით. ექსპერტის ჩვენება შეიძლება მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ ექსპერტის სამეცნიერო, ტექნიკური თუ სხვა სახის სპეციალიზებული ცოდნა მოსამართლესა თუ ნაფიც მსაჯულს დაეხმარება საქმის გადაწყვეტაში

⁸⁵ ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. მერიდიანი, 2017. გვ 349

⁸⁶ იქვე გვ 370

2. ჩვენება ემყარება საფუძვლიან ფაქტებსა და ცნობებს
3. ჩვენება სანდო, სარწმუნო პრინციპებისა და მეთოდების შედეგადაა მოპოვებული
4. ექსპერტი სანდოდ იყენებდა საქმის ფაქტების პრინციპებსა და მეთოდებს⁸⁷.

„ექსპერტს ასევე უფლება აქვს მისცეს ჩვენება თავისი დაკვირვების შედეგად, მაგრამ მას არ შეუძლია მისცეს ჩვენება იმის შესახებ რომ ბრალდებულს ჰქონდა თუ არა ფსიქიკური ან ფიზიკური შესაზღებლობა რომ ჩაედინა დანაშაული“⁸⁸.

„წერილობითი მტკიცებულებები - მათ ასევე უწოდებენ დოკუმენტალურ მტკიცებულებებს. ფედერალური წესების 1001-ე მუხლი არეგულირებს მტკიცებულებათა აღნიშნულ სახეს, რომლის თანახმად წერილობით მტკიცებულებებში მოიაზრება დოკუმენტი, რომელიც შედგენილი ასოთი, სიტყვით ციფრით ან მათი ექვივალენტით და რომელიც ასევე შესრულებულია ხელით, საბეჭდო მანქანაზე, ფოტოგადაღებით, რენტგენული გადაღებით, ვიდეოფირით, მაგნიტური იმპულსებით, მექანიკურად ან სხვა ფორმით“.

„მხარემ წერილობითი მტკიცებულება აუცილებლად უნდა წარმოადგინოს წერილობითი ფორმით, მაგრამ არის შემთხვევები როცა შეიძლება მტკიცებულება წარმოდგენილ იქნეს ასლის სახით, თუ იგი არ გახდება სადაო მხარის მიერ და კონკრეტულ სიტუაციაში სამართლიანი იქნება მისი ასლის სახით წარმოდგენა. მტკიცებულებათა სახეებს ასევე წარმოადგენენ ნივთიერი მტკიცებულებები და ირიბი ჩვენება“⁸⁹.

⁸⁷ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010. გვ 75

⁸⁸ ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. მერიდიანი, 2017. გვ 240

⁸⁹ ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. მერიდიანი, 2017. გვ 300

დიდი ბრიტანეთი

„მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას ძირითადი ყურადღება ეთმობა არა მის კანონიერად მოპოვებას არამედ თვითონ მტკიცებულებათა ხარისხს, თუ რამდენად ახლოს დაგს იგი სისხლის სამართლის საქმესთან და არა ის რამდენად კანონიერად იქნა იგი მოპოვებული“⁹⁰.

„მტკიცებულებათა მოპოვებისას პირველ ადგილზე დგას არა მისი კანონიერად მოპოვების საკითხი, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს შემხებლობის თემას“⁹¹.

„სასამართლოს შეუძლია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, თუ იგი მიიჩნევს რომ საქმის ყველა გარემოების გათავალისწინებით მათ შორის მოპოვების წესის გათავალისწინებითაც, რომ ამ მტკიცებულების დაშვება იმდენად შეარყევს პროცესის სამართლიანობასა და ხელს შეუშლის ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას, რომ ეს მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული სასამართლო პროცესზე“⁹².

ჩემი აზრით, ეს ყოველივე ახლოს დგას სად აზრთან, რადგან მოსმართლეს გამოაქვს საკმაოდ სამართლიანი გადაწყვეტილება ინდივიდუალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, რადგან გარკვეულ „ჩარჩოებში“ მოქცევამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს სამართლიანი პროცესის განხორციელებას და სწორედ ამის გამო დაუშვათ შეცდომა.

ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში შემდეგი სახის მტკიცებულებებს ვხვდებით:

⁹⁰ იქვე გვ : 29

⁹¹ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012 გვ 275

⁹² ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. მერიდიანი, 2017. გვ 200

1. მოწმის ჩვენება
2. რეალური მტკიცებულებები
3. ირიბი ჩვენება
4. დოკუმენტის სახით არსებული მტკიცებულებები, ბიზნეს დოკუმენტები და ცხრილები

„მოწმის ჩვენება - მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში მიცემულია ჩვენება, ხოლო პირი სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ ითვლება იმ შემთხვევაში, როცა იგი გამოძახებულია ან გამოძახებულ იქნება ჩვენების მისაცემად სასამართლო პროცესზე.

რეალური მტკიცებულებები - რეალური მტკიცებულება იგეგვა რაც, ნივთიერი მტკიცებულება, ანუ ეს ის მტკიცებულებებია, რომლებიც რეალურად არსებობს. მაგალითად ესენი შეიძლება იყოს: იარაღი, დანა, აუდიოჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, რომელთა შეპასებაც ადამიანს შეუძლია გრძნობის ორგანოებით, ასევე შეუძლია მათი აღქმა სმენით, მხედველობით, ყნოსვითა და გემოთი.

აღიარება - აღიარება მოცემულია 1984 წლის სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა აქტის 82-ე მუხლში, სადაც ის განმარტებულია როგორც ნებისმიერი განცხადება, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მიუთითებს იმაზე რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

დოკუმენტი როგორც მტკიცებულება - იმისათვის რომ სასამართლომ დოკუმენტი ცნოს დასაშვებ მტკიცებულებათ, აუცილებელია რომ დოკუმენტის სახით წარმოდგენილი მტკიცებულება წარმოდგინოს მოწმემ, რომელსაც თან უნდა ქონდეს ეს დოკუმენტი და განმარტოს დოკუმენტის მნიშვნელობა. რელევანტურია პირი, რომელიც იძლევა ინფორმაციას დოკუმენტის შესახებ სასამართლო პროცესზე.

„ბიზნეს-დოკუმენტები - განცხადება ან/და ჩვენება ბიზნესის შესახებ დოკუმენტების თაობაზე. ამგავარი დოკუმენტები დასაშვებ მტკიცებულება შემეგ შემთხვევებში:

1. დოკუმენტი შექმნილი ან მიღებულია იმ პირის მიერ, რომელმაც დოკუმენტი წარმოადგინა. ეს დოკუმენტები შეიძლება უკავშირდებოდეს: კომერციულ საქმიანობას, ბიზნესს, პროფესიულ საქმიანობას ან ქონებრივ უფლებებს, გადახდილ ან გადაუხდელ ვადებულებებს.
2. ინფორმაცია მოწოდებულია იმ პირის მიერ, რომელსაც ჰქონდა, ან მოსალოდნელია რომ ჰქონოდა ინდივიდუალური ცოდნა ამ საკითხის შესახებ, ეს პირი შეიძლება იყოს ან არ იყოს პირი, რომელიც აკეთებს განცხადებას ანუ აძლევს ჩვენებას⁹³.

სასამართლომ შესაძლებელია ამგვარი მტკიცებულება დაუშვებლად ცნოს იმ ჩვენების სანდოობიდან გამომდინარე, რადგან შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს შემდეგი გამრეშობები:

1. დოკუმენტის შინაარსი
2. ინფორმაციის წყარო, რომელიც დოკუმენტშია წარმოდგენილი
3. ინფორმაციის მოწოდების ან მიღებას გზები და ვითარება
4. ინფორმაციის შექმნასა და მიღებასთან დაკავშირებულ გზები და ვითარება⁹⁴.

„სამართალწარმოებაში დაკუმენტის სახით არსებული განცხადება, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დოკუმენტის დედანით ან ავთენტური ასლის სახით“.⁹⁵

როდესაც სისხლის სამართლის სამართალწარმოების ობიექტურობაზე, კანონიერებაზე, სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობაზე, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოქალაქეთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვაზე ვსაუბრობთ ,, მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია საეჭვო არ არის. ვერ უარვყოფთ, რომ ,,მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიას ფორმალიზმის ნიშნები აქვს. თუმცა ამ თეორიის მომხრეები სრულად

⁹³ მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012 გვ 356

⁹⁴ გოგშელიძე, რ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. 2008. გვ 80

⁹⁵ კ.ვ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო. ბ. ა. ფილიმონოვი. დასავლეთი სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი: მერიდიანი, 2007.

ობიექტურ გამართლებას პოულობენ. მაგალითად გამოჩენილი რუსი მკვლევარი, პროფესორი ი.ლ პეტრუხინი მიუთითებს, რომ „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიას ფორმალიზმის ნიშნები აქვს, მაგრამ ეს გამართლებულია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ინსტიტუტი ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება⁹⁶.

⁹⁶ ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010.გვ76

დასკვნა

დასკვნის სახით მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ნაშრომში წარმოდგენილია სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მტკიცებულებათა დასაშვებობა. ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ვისაუბრე დაუშვებელ მტკიცებულებებზე მათ ცნებასა და ადგილზე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა არსებობა, რადგან მათ გარეშე წარმოუდგენელია რამის მტკიცება. მტკიცებულებები, ეს გახლავთ ძირითადი ჩონჩხი, რომლის საფუძველზეც აგებულია მთლიანი პროცესი, ხოლო სასამართლოს წიანშე კი განიხილება მათი დასაშვება - არ დასაშვებობის საკითხი. თითოეული მხარე სასამართლო პროცესზე ვალდებულია რომ არ დაუშვან ადამიანთა კონცეპტუციური უფლებების დარღვევა მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის პროცესში.

სასამართლო პროცესზე სწორედ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ ხდება მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით როლების გაცვლა. წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს კი აკისრია მთავარი როლი, რომელიც ვალდებულია შეაფასოს წარმოდგენილი ინფორმაცია და იმსჯელოს მტკიცებულებათა დასაშვებობის ან დაუშვებლობის თაობაზე.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ასევე განვიხილე თუ რას ნიშნავს დასაშვებობის ცნება. ვისაუბრე აგრეთვე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის როლზე, რომ თუ იგი კანონიერად არ ცნობს მტკიცებულებებს ისინი ცხადდება დაუშვებლად. მოვახდინე შედარება აშშსა და დიდი ბრიტანეთის ქვეყნების მაგალითზე მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ.

ასევე განვიხილე თუ როგორ ხდება მტკიცებულებათა მოპოვება ფარული საგამომიებო მოქმედებების დროს.

მიმოხილულ იქნა ის ძირითადი საკითხები რაც შეეხება ზოგადად მტკიცებულებებს. რამდენად სამართლიანია მთლიანად სამართალწარმოება და ხომ არ გამოიწვია კონკრეტული მტკიცებულების გამოყენებამ ბრალდებულის უფლებების დარღვევა.

ნაშრომში განვიხილე ზოგადად მტკიცების ტვირთის არსი , რა როლი აკისრია მხარეებს მტკიცების პროცესში, მტკიცების სუბიექტები, სტანდარტები, რომ აუცილებელია მტკიცებულებათა დასაშვებობის 3 სტანდარტი :

- 1.დასაბუთებული ვარაუდი
- 2.ალბათობის მაღალი ხარისხი
- 3.გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.

ჩემს მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში ასევე მოვიყვანე მაგალითი სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიიდან, რათა კიდევ უფრო გამემყარებინა ჩემი ნააზრევი.

ვფიქრობ ჩვენი კანონმდებლობა მუდმივად ახლის ძიებაშია და ნელნელა მართლაც იხვეწება, თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლიც უნდა აღმოიფხვრას და რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრე ზევით. იმედი მაქვს რომ ეს ხარვეზები დროთა განმავლობაში გამოსწორდება და მივიღებ სრულყოფილ სახეს.

არის შემთხვევები როდესაც კანონი გამოირჩევა სრული სიმკაცრით და გვეუბნება რომ არსებობს გარკვეული სახის მტკიცებულებები, რომლებიც არ უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად. მაგალითად: შესაძლებელია რომ მხარეებმა წარადგინონ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური მტკიცებულებები, მაგრამ, მაინც კითხვით ნიშნში ქვეშ იდგეს მათი დასაშვებობის საკითხი. ჩემი აზრით ეს არა სწორი მიდგომა.

ასევე მინდა აღვნიშნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა გარკვეულწილად არ არის ზუსტი და საჭიროა გადმოღებულ იქნეს კონტინენტური ქვეყნების სამართლებრივი სისტემის კონკრეტული შემადგენლობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მერიდიანი, 2017.
- 5.
6. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, 2011;
7. აქუბარდია, ირინა. „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში.“ მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, 2014.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. 2015.
9. გოგშელიძე, რ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. 2008.
10. დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948.
11. თუმანიშვილი, გიორგი. სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. იურისტების სამყარო, 2014.
12. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო. ბ. ა. ფილიმონოვი. დასავლეთი სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი: მერიდიანი, 2007.
13. ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. მერიდიანი, 2017.
14. ავტორთა კოლექტივი (ქეთევან ჩომახაშვილი). მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. 2016.
15. კუბლაშვილი, კონსტანტინე. ადამიანის უფლებები. 2008.
16. მამნიაშვილი, გახოკიძე. სისხლის სამართლის პროცესი. 2012.

17. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. იურისტების სამყარო, 2013.
18. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი . 1990.
19. ჩხეიძე, ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. 2010.
20. ხარაზიშვილი, ბ. მტკიცებითი სამართალი. 1982.
21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის გადაწყვეტილება 1/გ 1197 თ/გ.
22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის გადაწყვეტილება 1/გ860-17.